გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 9 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა შესწორებად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას-ში, აკვშალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890


## „ივერია"

გამოვა 1890 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1890 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში

ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Въ Тифлисъ. Въ редакцiю газеты „ИВЕРIЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.


ტფილისი, 20 თებერვალი

ერთი დიდი ნაკლი ჩვენის სოფლის მოწყობილობისა ის არის, რომ არავითარი განსაზღვრული წესი და რიგი არ არსებობს შესახებ ხარჯის მოკრებისა და ჯეროვან ადგილას მიტანისა. გლეხ კაცობა იხდის, მაგალითებრ, „ფოსტის ფულს", შეაქვს განაჩენებით დადებული პური პურის მაღაზიებში, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება ხოლმე ზოგიერთი ნაწილი ფოსტის ფულისა შეტანილი არ არის და ეგრედ წოდებულ „ნედოიმკად" მიწერილი აქვთ და მაღაზიებშიაც პური არ არის, როცა გაჭირებული გლეხი მაღაზიას მიადგება ხოლმე. მხოლოდ ამისთანა შემთხვევაში ასტყდება ხოლმე სოფლობაში ერთი ჩოჩქოლი, ერთი ყაყანი, ჩივილი და ყვირილი. „კაცო, აგი მთლად მოვაგროვეთ „ფოსტის ფული" და ეს „ნედოიმკა" საიდამ-და გამოტყვრაო"? იძახიან საწყლები. „აგი პური მაღაზიაში თავისი ხვედრი ყველას შეგვიქვსო და სად დაიღუპა ამოდენა პურიო?"

გამოიწვევენ მოედანზედ საპასუხოდ ფოსტის ფულის ამკრებს, ნაცვალს, მამასახლისს, პურის მაღაზიის გამგეს, რომელსაც გლეხნი „ამბარდანს" ეძახიან. ამ მოხელეთა პასუხი ყველგან ერთი და იგივეა: ჩვენ რა ვიცით? იტყვიან ხოლმე ფოსტის ფულის საქმეთა მოხელენი: რაც ჩავიბარეთ, ჩვენც ის ჩავაბარეთ ხაზინას და, აი დალახვრა ღმერთმა, აგი „ნედოიმკა" არ შემოუწერიათო". ამბარდანსაც მზადა აქვს პასუხი: „ჯარო და ჯამათო, პური რომ შემოდის, გადის კიდეც, უფრო ბევრი ჭფუჭდება, ზოგს თაგვი სჭამს, ზოგს რა ახდენს და ზოგს რა".

რა თქმა უნდა, აქ მართალი და ტყუილი ადვილად გამოსარკვევია, რომ ან ერთს მხარეს, ან მეორეს ხელში საბუთი ჰქონდეს, რაიმე წესით და რიგით სავალდებულოდ დადგენილი. ჭირი ის არის, რომ საწყალი გლეხ კაცობა ამ შემთხვევაში უწიგნობის გამო იძულებულია მარტო ნდობას დაემყაროს და ხშირად ეს ბრმა ნდობაა მიზეზი, რომ გლეხებს ხელ-მეორედ გადახდება ხოლმე ერთხელ გადახდილი ფოსტის ფული. ეგევე ნდობა მოქმედობს მაღაზიის პურის შემოსავალ-გასავალშიაც.

იყო ერთი დრო და რამდენსამე წელიწადს ზედი-ზედ გლეხკაცობას გაუწყვეტლივ შეჰქონდა მხვედრი პური სოფლის მაღაზიაში გაჭირებაში მოსახმარად და ხელის გასამართავად. თითო-ოროლა გლეხთა საზოგადოება დღესაც ეზიდება მხვედრს პურს სოფლის მაღაზიაში, მაგრამ, სამწუხაროდ ჩვენდა, ბევრს მაღაზიას ვერ იპოვით იმისთანას, რომ პური შეჭმული და გაფლანგული არ იყოს. ძნელად დასაჯერებელია რაოდენი სიმდიდრე უნდა დაღუპულ იყოს დღევანდლამდე ამ სახით.

ეს თვრამეტ-ცხრამეტი წელიწადია, რაც განსვენებულ არლოვსკის გუბერნატორობის დროს ტფილისის გუბერნიის გლეხთა საზოგადოებათა სასოფლო განაჩენი დაადგინეს, რომ ყოველ წლივ სულზედ ერთი ფუთი და ნახევარი შეეტანათ თავ-თავის მაღაზიაში. ანგარიშში ჩასათვლელია მარტო სული მამაკაცისა, რადგანაც ასე იყო დადგენილი გლეხთა განაჩენებში. პირველ ხანებში სოფელი საპოლიციო მოხელეობა ძალიან ბეჯითად თვალს ადევნებდა და ყოველ კანონიერ ღონისძიებას ჰხმარობდა, რომ გლეხთა განაჩენით დადებული პური ყველას შეეტანა უნაკლულოდ. მერე, რასაკვირველია, ამ საქმეს ცოტად თუ ბევრად გაუგრილდნენ და რაკი მთავრობა ბევრს აღარას დასდევდა, ბევრმა სოფლის საზოგადოებამაც ყური მოიყრუა და შესწყვიტა პურის შეტანა მაღაზიაში. ზოგი სოფლის საზოგადოება-კი დღევანდლამდე ასრულებს თავის განაჩენს.

ადვილად წარმოსადგენია — რა დიდ ძალი სიმდიდრე, ხორბლად, თუ ფულად, — ექნებოდა ტფილისის გუბერნიას, რომ გლეხობას დღეს ადგილას ჰქონდეს ყოველივე ის, რაც ამ თვრამეტ-ცხრამეტს წელიწადში მოგროვებულა, ან მოგროვდებოდა, რომ როგორც მოგროვებას, ისეც მოგროვილის შენახვასა და პატრონობას ბეჯითი ზედამხედველობა ჰქონებოდა, ბეჯითი ანგარიშის ჩამომრთმევი ჰყოლებოდა. ტფილისის გუბერნიაში სულ ოთხას ორმოც-და-შვიდი ათასზე მეტი მამაკაცი ითვლება. ამ თვრამეტ ცხრამეტ წელიწადში რომ ამის ნახევარს მაინც თითო ფუთი და ნახევარი შეეტანა მაღაზიაში, წელიწადში სამას ოც-და ხუთმეტი ათას ფუთამდე პური შესდგებოდა და თვრამეტ წელიწადში — თვრამეტჯერ ამაზე მეტი, ანუ 6 300,000 ფუთი პური.

# ფელეტონი

## „ვეფხის-ტყაოსანის" შესახებ

(ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)

ცხადია ყველასათვის, თუ რა მნიშვნელობაცა აქვს მეთოდს სამეცნიერო მოვლენათა გასაგებ-შესაგნებლად. მეთოდი სასწორია, საზომი, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი. ხშირად შეიძლება, რომ ეს საზომი ყალბი იყოს და მაშინ სანდობი არ არის ამ გვარის სასწორ-საზომით აღებ-მიმცემი კაცი. ყალბს მეთოდზედაც სწორედ ესევე უნდა ესთქვათ. რამდენს უშლიდა ძველს მეცნიერებს და მწიგნობრებს ამ ნამდვილ მეცნიერულ მეთოდის უქონლობა... რა სანდობია თუნდ გულუბრყვილო მემატიანე, რომელიც ერთთავად ზეცა-ღმერთს აბრალებდა ქვეყნის თავზე მოვლენილს უბედურებას: სიმშილობა, სნეულება, ან მტრისაგან ქვეყნის აოხრება ცოდვათა ჩვენთა მოგვივლინესო, იტყოდა, დასწერდა და, სრულიად დაკმაყოფილებული იმით, რომ მიზეზი აღმოაჩინა, დაასვენებდა ბატის კალამს, თითონაც გული დაუსვენდებოდა. ეჭვიც აღარა ჰქონდა წმინდა მამას, აღარ ჰფიქრობდა იმას, თუ შეიძლება სხვა მიზეზები იყოს აქვე, ახლო, ჩვენს ცოდვილს დედამიწაზე და ტყუილ-უბრალოდ ღმერთს ცილსა ვწამებდეო. ბ-ნს ა. ხახანაშვილს სწორედ ეს ყალბი საწორი აულია ხელში „ვეფხის-ტყაოსანის" ისტორიის გასარჩევლად. წინასწარ შედგენილის აზრით დაუწყია საბუთების კვლევა-ჩხრეკა, თუმცა-კი თითონაც კარგად იცის, რომ ჯერ საბუთების შეგნებაა საჭირო და მერე აზრი თავის თავად დადგინდება, ხოლო მაშინ შეიძლება დასკვნის გამოყვანა. მაშასადამე, ჯერ საბუთებო და მერე დასკვნაო. მარტო ბ-ნი ხახანაშვილი არ უცქერის „ვეფხის-ტყაოსანს", ცოტა არ იყოს, ეჭვიანის თვალით (იხ. „ივერია", № 25, 1890 წ.). სხვანიც მოიპოვებიან ჩვენში ამ აზრისანი. მიზეზი ამ გვარის შეხედულებისა ორ ნაირია: პირველი ისა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი" დიდებული ქმნილებაა, ეჭვში შეჰყვებართ: მარტო ერთის კაცის ტვინისა და გულის ნაყოფი როგორ უნდა იყოსო; მეორე ის, რომ ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედობა (творчество) გაარჩიონ ხალხურიდგან. შოთას თითქოს სცოდნია, რომ ასეთ აზრების არევ-დარევა მოხდებოდა მის თხზულების შესახებ და თითონვე, პოემის წინასიტყვაობაშივე გვაფრთხილებს, დაბეჯითებით ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსანში" ხალხიდამ — ქართველებიდამ არც ლექსი და არც ამბავი არ არის აღებული, გვგზავნის სპარსეთში და იქაც ხომ ვერაფერს მსგავს ამბავს ვერა ვპოულობთ. რუსთაველი ამბობს:

> ესე ამბავი სპარსული,
> ქართულად ნათარგმანები,
> ვით მარგალიტი ობოლი,
> ხელის-ხელ საგოგმანები,
> ვპოვე და ლექსად გარდავთქვი,
> საქმე ვქმენ საჭოჭმანები,
> ჩემმან ხელქმნელმან დამმართოს,
> ლაღმან და ლამაზმა, ნები.

საკმაოდ გამორკვეულია და ვიცით, ვინც იყო იმისი ხ ე ლ ქ მ ნ ე ლ ი, ისიც კარგად ვიცით, თუ რად დაუძახა ს პ ა რ ს უ ლ ი ტარიელის ამბავს, ხოლო ამ ამოცანას უნდა გამოცნობა: თუ მართლა იყო ეს ამბავი და ერმაც იცოდა, ლექსებიც-კი იყო და თითონაც მიითვისა, — მაშ ვისღა ატყუებდა, ვის აჯერებდა, რომ სპარსული და არა ქართულიო? ესე ცხადად მოტყუება ქვეყნისა და, ამასთანავე, თავის გამტყუნება თავის პირით მოსალოდნელია განა იმისაგან, ვისი სახელიც ეგრე ძვირად გვიღირს ქართველებს?! ნუ თუ არ ეტყოდენ იმის თანამედროვე მოშაირენი და მწიგნობარნი და ასეთი კითხვა არ არის საშინელი ყველასათვის, განალამც რუსთაველისათვის: რად ეძახი, შოთავ, ტარიელის ამბავს სპარსულს, როცა ეს ამბავი ქართულია და ყველამ იცის ჩვენგანმა, ან გალექსვა რა საჭირო იყო, როცა ხალხს, ერს გალექსილი აქვს, „მოჭრით" ნათქვამიო?! შოთას-კი ტარიელის ამბავი იმდენად ახლად მიაჩნია, რომ ეშინიან კიდეც, იქნება არავინ წაიკითხოსო, და თითონვე აქებს, რა არის ამით მივაქცევინო საზოგადოებას ყურადღებაო:

> ვით მარგალიტი ობოლი,
> ხელის-ხელ საგოგმანები.

დიაღ, რომ რუსთაველი არ გვიხატავდეს თანამედროვე ეპოქას, ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედ-მოღერებული სდგას მთელს საქართველოს ისტორიაში, არ აძლევდეს პასუხს უმთავრესს იმ საუკუნის კითხვაზე, მაშინაც-კი ვერ ვიტყოდით, თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდამ არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხის-ტყაოსანი", იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდამ, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა. ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლ-ხორცა. ვითომ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ შინაარსი, ფორმა, მომენტები პოემაში ლიტერატურულია და არა ხალხური?! განა, ხალხურს ამბავს, ლექსს რომ ვეძახით ამ სახელს, მართლა მთელმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა ამის შედგენაში, ხომ აქაც ერთი, ცალკე აღებული ერიდამ პირი იტყვის ჯერ და მერე ხალხი გაიმეორებს, მოუმატებს, ან დააკლებს... ნუ თუ რუსთაველი ერს არ ეკუთვნის და ერის ღვიძლი შვილი არ არის... ნუ თუ თამარის დიდებული ეპოქა თავის გამოჩენილ ისტორიულის პირებით, მჩქეფარე გამარჯვებული ცხოვრება, არ აღაფრთოვანებდა შოთას, არ აჟღერებდა მის ჩანგს, არ აძლევდა მასალას ტიპების შექმნისას, შინაარსს „ვეფხის-ტყაოსნისათვის"? ნუ თუ ისტორიულს ეპოქას ნაკლები მნიშვნელობა აქვს პოეტის შემოქმედობისათვის, ვიდრე საერო თქმულებას? ვგონებ რომ ერის თქმულებაზედაც თვით ეპოქა მოქმედობს და ამიტომ ხდება, რომ ერი შესანიშნავის საუკუნის შესანიშნავს მოვლენას ამბად, ზღაპრად, ან ლექსად გამოიტყვის ხოლმე.

შოთას „ვეფხის-ტყაოსანში" ვხედავთ იმ საჭირ-ბოროტო კითხვას, გარდა ნათელ საქმეებისა მაშინდელ მხედრობისას, რომელსაც ისტორიაც მოგვითხრობს: მოეწვიათ, თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლედ. შოთას გული, როგორც მოწინავე კაცისა, ამ საკითხავით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. მოწვევა უცხოელისა თამარის მეუღლედ ორ-ნაირად შეურაცხმყოფელი იყო შოთასი: ერთი, რომ ერისა, თავის ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნევდა ამას მისი საღი გონება და მაშასადამე, იტანჯებოდა მისი ეროვნული გრძნობა; მეორე, ამ მოწვევით პატრონი უჩნდებოდა მის ხ ე ლ ქ მ ნ ე ლ ს, მაშასადამე იტანჯებოდა მისი პირადი გრძნობა სიყვარულისა. „ვეფხის-ტყაოსნის" ლიტერატურულს ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაეპს სხვა-და-სხვა რითმა (დაბოლოვება) აქვს და საერო „ვეფხის-ტყაოსანშიაც" ამასვე ვხედავთ. ნამდვილს ეროვნულს ლექსებს ამ თვისებას ვერ ვამჩნევთ: რომელი დაბოლოვებაცა აქვს ლექსის პირველს სტრიქონს, იგივე დაბოლოვება რჩება ყვე-

ერთმანეთზე ფუთი რომ ათ შაურად ვიანგარიშოთ, დღეს ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობას სამს მალიონზე მეტი ფული ექმნებოდა. ხუმრობაა!..

დღეს თითო-ოროლა გლეხთა საზოგადოებას თუ აქვ's ცოტაოდენი პური და ფული, მოგროვილის პურის გაყიდვით შემდგარი, თორემ სხვა საზოგადოებანი ცარიელზე სხედან, რადგანაც მაღაზიებში აღარც პური აქვთ და არც ანგარიში-ღა იციან ვინ რამდენი შეიტანა, ვინ რამდენი გაიტანა და ნარჩენი სად და როგორ დაიკარგა. მარტო ორი საზოგადოება ვიცით, ერთი ახალქალაქისა და მეორე სიღნაღის მაზრისა, სადაც თურმე პურიცა აქვთ მოგროვილი და გაყიდულის პურის ნაღდი ფულიც. ფულად ახალქალაქისას აქვს თურმე ორი ათას სამასი თუმანი და სიღნაღისას ორი ათასი თუმანი. წარმოიდგინეთ, რა იდ-ძალი სიმდიდრეა გაჩანაგებული, თუ მთელის გუბერნიის გლეხ-კაცობის ავლადიდება ამაზე მეტი არ აღმოჩნდა და თუ ამასთან გლეხ-კაცობა იხდიდა ყოველ წლივ იმის ნახევარს მაინც, რაც თვითვე განაჩენით ჰქონდა განწესებული.

ჩვენ სარწმუნო კაცთაგან შევიტყეთ, რომ ბ-ნ გუბერნატორის თ. შარვაშიძის თაოსნობით ამ პურის მაღაზიების საქმეს დღეს ბეჯითი ყურადღება აქვს მიქცეული მთავრობისაგან. მიწერილი აქვთ მაზრის უფროსებს, რაოდენადაც შესაძლებელია, ცნობაში მოიყვანონ სად რამდენი პური უნდა ყოფილიყო მოგროვილი, სად არის ეხლა ეგ პური და ვის ხელში გაუვლია. უეჭველია, ამ გზით, თუ სულ არა, ბევრი წილი პური აღმოჩნდება და მასთან ერთად აღმოჩნდება ისიც, ვისაც უნდა მისი ანგარიში მოეთხოვოს. გამოვა რამე აქედამ, თუ არ გამოვა, ამას დრო და მეცადინეობა მთავრობისა გამოაჩენს. ხოლო სასიხარულო ეს არის, რომ ბ-ნს გუბერნატორს განუზრახავს ეს პურის საქმე სამერმისოდ ისე მოაწყოს, რომ გლეხ-კაცობას არა ეკარგებოდეს-რა და როგორც თვით მოგროვებასა და მოკრებას პურისას, ისეც მის შემოსავალ-გასავალს, მის შენახვასა და პატრონობას ზედ-მიწევნილი და ფრთხილი ზედამხედველობა აუჩინოს. ამბობენ, სხვათა შორის დადებული იქმნება, რომ გლეხთაგან მოგროვილ პურისაგან გადიდოს იმდენი, რაც ერთის წლის განმავალობაში საკმაო იქნება გასწვდეს გლეხთა საჭიროებას და ამაზე მეტი ფულად იქცევა და თვითვეულ ცალკე გლეხთა საზოგადოების საკუთარ თავნად (კაპიტალად) ჩაითვლება საზოგადო საჭიროებისათვის მოსახმარად, გლეხთა მიერვე წარდგენილობითა.

დიდი ჩაფიქრება არ უნდა, რომ კაცმა დაინახოს რა დიდი მნიშვნელობა ექმნება ამ რიგად დაწყობილს და გარიგებულს საქმეს ჩვენის სოფლის პურის მაღაზიებისას. კაცი ეხლა ვერ წარმოიდგენს იმ მრავალ გვარს სიკეთესა და სარგებლობას, რასაც ესე განგებული საქმე მოასწავებს ტფილისის გუბერნიის გლეხ-კაცობისათვის, თუ ეს საქმე კარგად დაეწყო და ყოველი ლიტრა პური, გლეხ კაცობისაგან მაღაზიაში შეტანილი, თავის ადგილას დარჩა გაუფლანგავად და თუ ამასთან მოჭარბებული პური ფულად იქცა და გლეხთა მიერვე აღნიშნულ საზოგადო საჭიროებას მოხმარდა. ამას მრავალ გვარი სიკეთე მოსდევს ზნეობური თუ ეკონომიური და ჩვენ მარტო ის-ღა დაგვრჩენია ვინატროთ, რომ წესდებას, ამის შესახები, სრულ იქმნას და გარდა ამისა შეფერებულ და შეწონილ იყოს ჩვენებურ გლეხთა ავ-კარგიანობასთან და სოფლობის გარემოცულობასა და გარემოებასთან.

## ახალი ამბავი

*** კვირას, 18 თებერვალს, ტფილისის სასულიერო სემინარიის ეკკლესიაში იგალობა წინანდელმა ქართულმა ხორომ, რომელიც აქამდე მთელს წელიწადს გალობდა წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში. ხორში სულ სამი თუ ოთხი კაცია, მაგრამ მაინც სასიამოვნოდ და ტკბილად იგალობეს. მსმენელთ დიდად ისიამოვნეს, რომ ასეთი მწყობრი, კეთილ-ხმოვანი და ნამდვილი ქართული გალობა მოისმინეს.

*** ყველამ იცის, რომ რაჭველს ხალხს კარგი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისში, მაგრამ ეხლა-კი, სამწუხაროდ, თანდათან უტყდებათ ეს სახელი. ამ ორის თვის წინად ჩამოსულა ტფილისში ერთი მოხუცებული გლეხი (რაჭველი) მაჩაიძე და ჩამოსვლისათანავე მიუბარებია სამი ვექსილი ოც-და-ორის თუმნისა თავის ძმისწულ სოლომან მაჩაიძისათვის, რომელიც ხელობით მეპურეა. როდესაც ამ საწყალს მოხუცს წასვლა მოუნდომებია თავის სოფელში, მოუთხოვნია ეს ვექსილები, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგი პასუხი მიუღია: შენი ვექსილები ყუთში მქონდა და აღარ არის, დაკარგულაო. უნდა-კი ესთქვათ, რომ ყუთი არც გატეხილი ყოფილა და არც სხვა რამე დაკარგულა იქიდამ. საწყალი მოხუცი მუდარებით სთხოვდა თავის ვექსილებს, ამ უკანასკნელს თავის სარჩო-საბადებელს, მაგრამ ხვეწნამ სულ ამაოდ ჩაიარა. ბოლოს 16 თებერვალს მოხუცი ამდგარა და თვალ-ცრემლიანს ყველაფერი პოლიციისათვის გამოუცხადებია.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ამ დღეებში გამართავს კონცერტს. კონცერტისათვის ხოროს მოუმზადებია ოცამდე სრულიად ახალი სიმღერა, რომელთა შორის არის ისეთი ძველებური სიმღერა, როგორც მაგალითად — „გვიბრძანე“ მარტყოფელებისა, „ზამთარო“ ანუ „მეფეო, შენსა გვირგვინსა“, კახური „ჰოონა“, იმერული „ჩონგურო“, „მამითადი“. კონცერტი დაიწყება სამგლოვიარო სიმღერის თქმით: „მშვიდობით, ძმაო ნეტარება შენ, რომ შეასრულე ამ სოფლის ვალი“.

*** მჭედლების ქუჩაზე შაბათს, 17 თებერვალს, ღამის ოთხ საათზე გასტეხეს დურგალ დარჩო ეგაზოვის ქარხანა და გაიტანეს ცხრა კონა კაკლის კუყრები თხუთმეტის თუმნისა. ქარხანაში ყოფილა მხოლოდ ორი ქარგალი და ერთიც პატარა შეგირდი, მაგრამ ღამის ოსტატების ოინი ვერ გაუგიათ. როცა კაკლის მასალას ეზიდებოდნენ, პატარა ბიჭი გამოსულა გარეთ, გაუგია, რომ რაღაც ხმაურობა ყოფილა, მაგრამ შეშინებია, შევარდნილა ისევ და ჩაწოლილა ლოგინში ხმა-ამოუღებლივ.

*** ჩვენს გაზეთში მოყვანილი იყო აზრი ექ მის ბ-ნ ფინკელშტეტისა, რომელიც ამაგებდა ტფილისის მილის წყალს და ამბობდა, ამ წყალში დიდ-ძალი ბაქტერიააო. როგორც ეხლა სჩანს, ამ წყალში, ბაქტერიებს გარდა, უფრო მომსხო ცხოველებიც ყოფილა. წარსულს კვირას ტფილისის ევკრებს იარმუკაზედ ჰიქით მოუნდომნიათ მილის წყლის დალევა თულუხიდგან. მიუტანიათ თუ არა პირთან წყლით სავსე ჰიქა, ჰიქის პირზედ რაღაც შეუმჩნევიათ. დაჰკვირვებიან და უნახავთ, რომ წყალში მატლები ყოფილა. ეს წყალი მაშინვე წაუღიათ ქალაქის მმართველობაში, სადაც წყალი გაუსინჯავთ და ასე უნუგეშებიათ მიმტანი: ნუ გეშინიანთ, ეს ჰია ადამიანის ჯან-მთელობისათვის მავნებელი არ არისო (?!).

*** წარსულის წლის დამლევს ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ვილაც ყალამქაროვის ნოქარ პარუნბევოვის შინაგან სესხის ბილეთს 1873 წ. ოცი ათასი თუმანი მოუგია, პატრონს ეს ფული უცოდინარობით არ მოუკითხავს და რადგან მას შემდეგ ათ წელიწადზე მეტი დრო გასულა, ხაზინის სასარგებლოთ ჩაურიცხავთო. ამის შესახებვე აქაურსა და რუსეთის გაზეთებშიაც კარგა ხანი დიდი ლაპარაკი იყო. ამასობაში პარუნბევოვი ჭკუიდგან შესცდა და საგიჟეთში იყო დამწყვდეული ამ თვეის 17-მდე. საგიჟეთიდგან გამოყვანის მეორე დღესვე პარუნბევოვი გარდაიცვალა და გუშინ, თებერვლის ოცს, მიცვალებული დაასაფლავეს. ბ-ნ პარუნბევოვს სიკვდილს შემდეგ, როდესაც იმის ნათესავებმა და ახლო ნაცნობებმა დაათვალიერეს პარუნბევოვის დავთრები და ქაღალდები, სხვათა ბარათთა შორის მართლა აღმოჩნდა რამდენიმე შინაგან სესხის მომგები ბილეთი, მაგრამ ის ბილეთი, რომელსაც ვითომ 1873 წელს ოცი ათასი თუმანი რგებოდა, ვერსადა ჰნახეს და ხმა ამ ფუ-

---

ლა სტრიქონს. ჩვენს ხალხს არ უყვარს, საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ლექსად ზღაპრები და ვერც იპოვნით ქართულს-ეროვნულს ზღაპარს გალექსილს. რაც გალექსილებია, ისინიც უცხო ნათესავისანი არიან (ბეჟანიანი, ეთერიანი და სხვ.). იქნება ამ ზემოდ ნათქვამზე ვინმემ სთქვას, ეს გარეგნობაა და მნიშვნელობა არა აქვსო, მაგრამ ჩემის აზრით ამ მოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს „ვეფხის ტყაოსნის“ რაობის გასაგებად. თუმცა ბ-ნი ხახანაშვილი, როგორც საერო, ისე სალიტერატურო „ვეფხისტყაოსანში“ მარტო აზრის ერთიანობაში ჰხედავს მსგავსებას, მაგრამ მე ვეცდები მისგანვე ნიმუშად მოყვანილის ლექსებისა და საერო და სალიტერატურო ვარიანტიდამ დავუმტკიცო, რომ ფორმალურადაც დიდი მსგავსებაა. ხოლო, თუ ეს ორ გვარი მსგავსება დამტკიცდა, მაშინ ბ-ნ ხახანაშვილმა უნდა უკანვე წაიღოს შემდეგი მოსაზრება: „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამამაღლებელი და განმასპეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი(?) და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემაც ფილოსოფიურის მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის ალმაფრენით“. როგორ? ნაწყვეტი ლექსები იყო და მერე ამ ლექსებს აზრი არაფერი ჰქონდა? ამის თქმა საშინელება რომ არ იყოს, სასაცილო იქნებოდა. რჩება საწყალს შოთას მარტო ბურთი და მოედანი გმირების ტანისამოსის, პირი-სახის, აბჯარ-აღჭრისა, და ამის გამოხატვას ხომ აზრი არა ჰქვიან. აქ რაღა შუაშია, ჩემო კარგო, ალმაფრენა პოეტური?! გამოვიდა, რომ რუსთაველს მარტო ერთმანერთზე მიუკოწიწებია ეს ლექსები, მოუქურქებია ერთად, როგორც ეხლა აგროვებენ ბევრნი სახალხო ლექსებს. ამის მომქმედი შოთა მაინც თამამად, თავ-მომწონედ გამოდის, უძრახავს მოშაირობას, მწერლობას თითქმის ყველა თანამედროვე მოშაირეს, გარდა სარგის თმოგველისა *), და ამბობს:

მოშაირე არა ჰქვიან
თუ სადმე სთქვას ერთი-ორი;
თავი ყოლა ნუ ჰგონია
მელექსეთა კარგთა სწორი.
განაღა სთქვას ერთი ორი,
უმსგავსო და შორი შორი;
მაგრამ იტყვის, ჩემი სჯობსო,
უცილობლობს ვითა ჯორი.

„ვეფხის-ტყაოსნის“ სიკეთით აიხსნება იგი მოვლენა, რომ ხალხს აზრი და ფორმაც დედანისა ამდენად შეუნახავს შვიდასის წლის განმავლობაში. რა-კი აზრი დარჩა, ხალხს რაც დედანიდამ გაგონილი ჰქონდა, თუ იქიდამ დაავიწყდებოდა ლექსი, თითონაც მოახერხებდა ფორმის მიცემას, დედანის ავტორის პაფოსის მინიჭებით... შევადაროთ საერო „ვეფხის-ტყაოსნისა“ და ლიტერატურულის გამოთქმა, თუ მართლა ერთმანეთს არა ჰგავს:

სალიტერატურო:
„ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ და სხ.
საერო:
„ერთი კაცი ზღვისა პირსა
ნამტირალი გვანდა გმირსა“,

მეტი-ღა მსგავსება შეიძლება წყობით, რითმით, თუ შინაარსით? ბ-ნს ხახანაშვილს მოჰყავს სხვა ალაგი პოემიდამ და ამბობს: „აზრი მოკლედ გამოთქმული ხალხის პოემაში ხელოვნურ ნაწარმოებში შევსებულია და განდიდებულ გაზვიადებული“, ხოლო «საერო ვეფხის-ტყაოსანი» მოჰკრით გვაცნობებსო. შევადაროთ ეს შოთას „განდიდება-გაზვიადება“ და „მოჰკრით ცნობება“ ხალხისა ერთმანეთს. აი ეს მაგალითი:

სალიტერატურო:
ხვარაზმშას სისხლი უბრალო
სახლად რად დამადებინე,
თუ ჩემი ქალი გინდოდა,
რად არა შემაგებინე **).
მე ბერსა შენსა გამზრდელსა
სიცოცხლე მაარმებინე,
დღედ სიკვდილამდე შენიცა
თავი არ მაახლებინე.
საერო:
ტარიელ დაგსვი ვეზირად,
სიტყვა შენ გაგაბჭობინე;
გიყვარდა ნესტან-დარეჯან,
რატომ არ შემატყობინე?

რა არის აქ ერთში გაზვიადებული და მეორეში «მოჰკრით» ნათქვამი? რუსთაველი მეტს ამბობს, მინამ ერი, და, რასაკვირველია, გაზვიადებულად მოეჩვენება ზოგს. ნესტან-დარეჯანის მამა ფარსადანი, სალიტერატურო ვარიანტის მიხედვით, მარტო იმას როდი სჩივის, თუ ტარიელმა რატომ არ გამოუცხადა მეფეს, რომ მისი ქალი ნესტან-დარეჯანი უყვარდა, როგორც ხალხური ვარიანტი მოგვითხრობს, მეფე კიდევ იმას სჩივის ხვარაზმშას «უბრალო სისხლი» რად დამადე კისერზე, სხვის ცოდვაში რად ჩამაყენეო. რა სიმართლე იქნება, ამის შემდეგ, ვაბრალოთ ერთს «გაზვიადება» და მეორეს «მოჰკრით» თქმა?! განა ის უფრო მართალი არ იქნება ვსთქვათ, რომ ხალხის მეხსიერებაში ფეხი ვერ მოიკიდა ამ «უბრალო სისხლის სახლად დადებამ» და დაავიწყდა ეს?!. ამ ზემო მოყვანილს ლექსებში სხვა რა გარჩევაა ფორმაში: რითმა ერთი აქვს და პაფოსი, ერთისა და იმავე სიტყვებით არის გამოთქმული აზრი. შევადაროთ სხვა ლექსებიც.

სალიტერატურო:
უბრძანა: „ხელთა აიღეთ
აბჯარი თქვენ საომარე,
მიდით და აქა მომგვარეთ,
ვინ არის იქა მჯდომარე!“
საერო:
ადექით, აიყარენით
ძმანო: ედემ და ომარე,
ის კაცი აქ მომიყვანეთ,
ვინ არის ველთა მდგომარე.

ეს ნუ თუ მსგავსება არა ჰგონია ფორმაში ბ-ნს ხახანაშვილს? საეროში მარტო უცხო სახელებს ვხედავთ, «ედემ და ომარე», რომელიც უფრო იმას ამტკიცებს, რომ ხალხს დავიწყებია დედანის: „აბჯარი თქვენ საომარე“ და ნაცვლად ამისა ჩაურჩხრავს «ედემ და ომარე» სტრიქონის შესავსებლად, და კიდევ იმას, რომ ლიტერატურული «ვეფხის-ტყაოსანი» წინად ყოფილა გავრცელებული ხალხში, ხალხს შეჰყვარებია პოემა და, რაც დავიწყებია პოემიდამ; ის თითონ უკეთებია და უმატებია. რომ ხალხს ეს ზნე სჭირს, ეს უბრალო მაგალითითაც მტკიცდება. ავიღოთ თუნდ, მაგალითად, ხევსური ხევის-ბერის „დიდება“ (ლოცვა), რომელიც არის შედგენილი, როგორც თვით ხევის-ბერებისა და ხალხისაგან, ჩამატებით ოდესმე საყდარში გაგონილ სამღთო წერილის სიტყვებისა. ხევის-ბერი თავის «დიდება» ში, ნაცვლად იმისა, რომ სთქვას: „კანას გალილიასა წყალი ღვინოდ გარდაჰქმენო“, ამბობს: „სკანი-სკანარიო, წყალს იორდანეო, წყალი ღვინოდ შესცვალეო“. ბ-ნ ხახანაშვილისებურად რომ ვიფიქროთ, სახარების სიტყვები დაფუძნებული ყოფილა ხევის-ბერის დიდებაზე.

დასასრულ ვისურვებ, რომ ბ-ნი ა. ხახანაშვილი ფრთხილად და ფხიზლად მოეკიდოს „ვეფხის-ტყაოსანს“, უფრო ისტორიულის თვალით უცქიროს. დარწმუნებულიცა ვარ, როცა შეადარებს ყველა ვარიანტს და დაუპირდაპირებს ერთი-ერთმანეთს, დაგვეთანხმება და ბედაურიდამ არ ჩამოახდენს შოთას.

ვაჟა-ფშაველა

*) იხ. „ვეფხის-ტყაოსნის“ ბოლოს ტაეპი.

**) ძველს გამოცემაში სიტყვა „შემაგებინე“-ს მაგიერად „შემატყობინე“-ა.

ლის მოგებისა ტყუილი გამოდგა. ამას გარდა სახელმწიფო ბანკმაც გამოაცხადა, რომ 1873 წელს ნარგები ოცი ათასი თუმანი უკვე წაღებულია და ის წამლები პარუნზეგოვეი არ არის, რადგან მაგას არა რგებიაო.

** სამეგრელო: როგორც გვიამბეს, ხონს ერთი უბედურება სწვევია: 12 თებერვალს წაჰკიდებია ცეცხლი და ორმოც-და-ათამდე დუქანი სულ ერთიანად გადამწვარა. მუხრან და ფარნაოზ კობახიძეებს, პეტრე მატახერის, კონსტანტინე ლოლუას, ჯორჯიკიას და გუგუნავას ნამეტანი ზარალი მოსვლიათ, თითოეულს არა ნაკლებ ოთხას-ოთხასის თუმნისა. საქონელი დაზღვეული არსადა ჰქონიათ და რამდენისამე ხნის ნაჯაფავი და ოფლით მოპოვებული საცხოვრებელი ცეცხლს შთაუნთქავს და ცარიელზედ დაუნარჩუნებია იმდენი ხალხი. ცეცხლის საქრობი მაშინა თუმცა ჰქონიათ, მაგრამ ვერც ამ მაშინებით გაუწყვიათ-რა, რადგანაც იმ დროს საშინელი ზენა ქარი თურმე ჰქროდა. ცეცხლი გასჩენიათ თათარ ხუროებს, რომელნიც ხონის მოვაჭრეთა ხარჯზედ სააფთიაქო სახლს აშენებდნენ თურმე და ამ შენობიდგან გადასდებია დანარჩენ დუქნებსაც.

** რაჭა: სხვა სიკეთე არა გვაყრია-რა, თორემ რაჭველებმა ღვინის სმა-კი ძალიან ვიცით და ამას ხშირად დიდი უბედურებაც მოსდევს ხოლმე. ამ ერთის თვის წინად სოფელ წესში. თავად ასლან ერისთავს ქორწილი ჰქონია თავის ქალისა, და ერთს გლეხს, გვარად მერკვილაძეს, ისე ბლომად დაულევია, რომ იქვე დამრჩვალა სამზარეულოში.

** ბ-ნს გ. ნ. სუნდუკიანცს რუსულად გადაუთარგმნია თავისი ახალი პიესა „მეუღლენი“. გაზ. „ტფილ. ფურც.“-ი ამბობს, რომ ავტორს განზრახვა აქვს სთხოვოს სავინის ქალს, რომელსაც მაისში მოელიან აქ, რათა იმის მონაწილეობით იქმნას წარმოდგენილი აქაურს სცენაზეო.

** გაზ. „Нов.“-ი ამბობს: სახელმწიფო საბჭოს წარუდგინეს პროექტი, რომ ბაჟი დაედოს კაკლისა და ბზის ხე-ტყეს, სამზღვარ-გარედ გასატანს გურია-სამეგრელოდგანა და აფხაზეთიდგან, რათა ამ ღონისძიებით დაცულ იქმნას ძვირფასი ხე-ტყე კავკასიისაო.

** გაზ. «ნოვ. ობოზ.» აქ აცხადებს, რომ ბ-ნ კ. ნ. რ—საგან მივიღეთ კიდევ 25 მან. წინამძღვრიანთკარის სკოლის სასარგებლოდაო. ესა და წინანდელი შემოწირულობა სულ შესდგა 424 მან. 75 კაპ.

** თებერვლის 20, ღამით, პეტრე-პავლეს ქუჩაზე, ტფილისის მცხოვრებელმა ხოჯასოვმა წაართვა 50 მანეთიანი ვერცხლის ქამარი და ფულად 6 მან. სიღნაღის მცხოვრებელს სერგო მატინოვს. ქურდი შეიპყრო პოლიციამ.

## ქალაქის საბჭო

19 თებერვალი

კრებამ განიხილა წინადადება საზოგადოებისა, თუ რა ცვლილება უნდა მოახდინონ ეტლების ტარების წესდებულებაში. წესდებულების ძალით, ყოველ ეტლს უნდა ჰქონდეს გამოკიდებული თუნუქის (жестянка) ფიცარი, სადაც ეწეროს მთელი ნიხრი, საიდამ რა ღირს წასვლა-წამოსვლა ფაიტონითა თუ დროჟკით. აგრეთვე ყოველ მეეტლეს უნდა ჰქონდეს ერთ გვარი ბაირაღი, რომლითაც ატყობინებდეს ხალხს, როდის არის მისი ეტლი დაქირავებული და როდის თავისუფალია. გამგეობის წინადადებით, ორივე ეს მუხლი უნდა ამოიშალოს წესდებიდამ, რადგანაც მათი შესრულება მოუხერხებელი გამოდგაო. ნიხრის გადაწერა ფიცარზე შეუძლებელია, იმიტომ რომ ძრიელ ვრცელია და მეეტლეთა წიგნში მთელი ოთხი-ფურცელი უჭირავს. ამოდენა ნიხრი რომ ფიცარზე გადაწერონ, ფაიტონში ძლივს დაეტევა ასეთი ფიცარიო. ამის შესახებ ხმ. მიქელაძემ სთქვა, რომ საჭირო არ არის მთელი ნიხრი გადავწეროთ, საკმარისი იქნება რამდენიმე მოშორებული მანძილი იყოს ნაჩვენები, მაგალითად, მუშტაიდი, ვოგზალი, დოლის მოედანი, ნათლუხი და სხვა ამისთანები, რადგან ამ მანძილთა ფასები ბევრმა რიგიანად არ იცისო. ხმის ჩამოტარების შემდეგ საბჭომ დაამტკიცა წინადადება გამგეობისა იმ მოსაზრებით, რომ ყოველ მეეტლეს ჯიბეში უძევს ნიხრის წიგნი და იქ არც ერთი ადგილი არ არის გამოტოვებულიო. შემდეგ განიხილა კრებამ თხოვნა მეეტლეთა, რომელნიც სჩივიან ნიხრის სიაფეს. უკეთესს ქუჩებზე ცხენის რკინის გზაა გაყვანილი და ფაიტონები მხოლოდ მივარდნილ ქუჩებზე-ღა თუ მუშაობენ და ამიტომ ფასები შეცვალეთ ამ რიგადაო: დოლის მოედნამდე დაგვინიშნეთ ათი შაურის მაგიერ ერთი მანათიო, ვოგზლამდე—75 კაპეიკი, დიდუბემდე—სამი აბაზი, ავლაბრიდამ ნათლუხამდე—ორი აბაზი, ქალაქიდამ ნათლუხამდე—სამი აბაზი, მუშტაიდამდე—სამი აბაზი, მართლ-მადიდებელთა სასაფლაომდე, კაზარმებს უკან რომ არის, —სამი აბაზიო. გამგეობის აზრით, მეეტლეთა ყოფა სრულებით არ არის ისე გაჭირებული, რომ ნიხრის მომატება აუცილებელი იყოს. ცხენის რკინისგზამ, მართალია, შეავიწროვა ისინი, მაგრამ მაინც ეტლების რიცხვი წლითი-წლობით მატულობს ტფილისში. ამიტომ მეეტლეთა თხოვნა არ არის შესაწყნარებელი. მხოლოდ სასაფლაომდე სიარულის გამო ნიხრი არ არის დადგენილი და ამიტომ კარგი იქნება დავაწესოთ ქალაქიდამ სასაფლაომდე ათი შაურიო. საბჭომ დაამტკიცა სარჩიელი გამგეობისა.

სხვათა საქმეთა შორის საყურადღებო იყო თხოვნა ბ-ნთ ყორღანოვისა და ალიბეგოვისა, რომელნიც უჩიოდნენ გამგეობას, რომ ძალიან ფეხ-მძიმედ ეკიდება ჩვენს თხოვნას, მაშინ-როდესაც ჩვენ ასე ვესწრაფვებით ახალი ლიანდაგები გავიყვანოთ ცხენის რკინის გზისა ქალაქის ქუჩებშიო. საქმე იმაშია, რომ კონცესიონერებმა შარშან დეკემბერში მიართვეს გამგეობას ქაღალდი, სადაც აცხადებდნენ სურვილს, რომ რკინის გზის გაყვანა გვინდა ავლაბრიდამ ავჭალის ლიანდაგამდე და ავლაბრიდამ რუსის ბაზრამდეო. ამ ქაღალდში ისინი სთხოვდნენ გამგეობას, რომ ერთის თვის განმავლობაში შეჰკითხოდა „უსახელო საზოგადოებას“, სურს თუ არა ამ ლიანდაგების გაყვანა. თუ არა სურს, მაშინ ჩვენ გაზაფხულზედვე შევუდგებით მაგ ლიანდაგების გაყვანასაო. გამგეობა დღემდე არ ასრულებს ჩვენს თხოვნას და ამიტომ ველდებული გახლდეთ, რომ მალე შეგვატყობინოს პასუხი „უსახელო საზოგადოებისაო“. გამგეობის აზრით, აქ საჩქარო სრულებითაც არა არის-რა, მით უმეტეს, რომ შვიდის წლის შემდეგ ქალაქის თვით-მართველობას ნება ექნება შეისყიდოს ცხენის რკინის გზები და რაც, ნაკლები იქნება იმ დროს ლიანდაგთა რიცხვი, მით უფრო ადვილი იქნება მათი შეძენა. მერე თითონაც კარგად გაიყვანს, რომელი ლიანდაგიც ჰკუაში დაუჯდება. გინდ ეს მოსაზრებაც არ იყოს, ჯერ საბჭომ უნდა მოიწონოს რომელიმე ახალი ლიანდაგი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიან გამგეობას, რომ შეეკითხოს ბელგიის საზოგადოებას, უნდა თუ არა ამ ლიანდაგის გაყვანა. ამიტომ შესაწყნარებელი არ არის თხოვნა ყორღანოვისა და ალიბეგოვისა. საზოგადოდ ამ საგანზე გამგეობა ამზადებს ვრცელს პროექტს, რომელსაც მოკლე ხანში წარმოუდგენს საბჭოს, და იმ დრომდე გადავდოთ თვით ეს საგანი ახალ ლიანდაგების გატარებისაო. ხმის უმეტესობით საბჭომ შეიწყნარა აზრი გამგეობისა და მთხოვნელებს უარი უთხრა.

## წვრილი ამბები

ამას წინად ფრეშფილდმა აცნობა თურმე ლონდონის გეოგრაფიულ საზოგადოებას თავისისა და დენტის მოგზაურობის ამბავი კავკასიაში. ისინი წამოსულან კავკასიაში, რომ ორის ინგლისელის მგზავრის, დონკინისა და ფოქსის ამბავი შეეტყოთ, იმ მგზავრებისა, რომელნიც, როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უწყიან, უნუგეშოდ გადიკარგნენ სადღაც, როცა დიხტაუს მთაზე ადიოდნენ. ფრეშფილდსა და დენტს 1571 საჟენის სიმაღლეზე შეუნიშნავთ უკანასკნელად დაკარგულების კვალი. როცა ამ სიმაღლიდგან დაბრუნებულან, საწყლებს თოკი ჩასტეხიათ და უფსკრულში გადაცვივნულან. აქამდე იმ აზრისანი იყვნენ, ვითომც ისინი ავაზაკებს უნდა მოეკლათო, მაგრამ ეს აზრი ტყუილი გამოდგა. ფრეშფილდმა აუწყა საზოგადოებას აგრეთვე ცნობები კავკასიის მთების ფორმაციის შესახებ და სთქვა, რომ კავკასიის 8 მთა მონბლანზე მაღალია და 15 სა აქვს 2143 საჟენი სიმაღლეო. უველაზე მაღალი მთები ელბრუსია, კოშტანტაუ, შტაკა და დიხტაუო.

— სტამბოლში ამას წინად აღმოუჩენიათ შესანიშნავი არხეოლოგიური ნაშთები. ძველს სასახლეში, აია-სოფიის ახლო, აღმოუთხრიათ განძი, რომელიც ოდესმე საბერძნეთის იმპერატორებს ჰკუთვნებიათ. სხვათა შორის უნახავთ მთელი კოლლექცია იარაღებისა, რომელიც იმპერატორს კონსტანტინე პალეოლოგს უტარებია.

— ლისსაბონში ამ დღეებში თავი მოუკლავთ ლიტერატორს ჟულიო ცეზარს მაჩადოს და მისს ცოლს მარია დას-დორეს მაჩადოს. ამ თავის-მკვლელობის მიზეზი აი რა ყოფილა: ამ ცოლ-ქმრის ერთად-ერთს 18 წლის ვაჟი შვილს, რომელიც დიდს ნიჭს იჩენდა და რომლის მომავალისაც დიდი იმედი ჰქონდათ თურმე, შეჰყვარებია ერთი უმანკო ქალი და შემდეგ თავი მოუკლავს ამ ქალის სახლის კარებთან, რაკი შეუტყვია, რომ ჩემ მიერ შეყვარებული არ თანამიგრძნობსო. უბედურს მშობლებს ორს თვეს უგლოვნიათ შვილის დაკარგვა, თავში უცემიათ, უგოდნიათ და შემდეგ გადაუწყვეტიათ თვის სიკვდილი. ცოლ ქმარს ერთმანეთისათვის მაგრად გადაუხვევიათ ხელები და მაშინ გაუხსნიათ ერთმანეთისათვის ძარღვები. გარეშენი მხოლოდ მაშინ შესწრებიან ამ თავის მკვლელებს, როცა ცეზარ მაჩადოს სისხლის დენისაგან უკვე სული განეტევებინა და იმის ცოლს სულის მობრუნება ოდნავ-ღა შესძლებია. ეს დედაკაცი მაშინვე წაუყვანიათ საავადმყოფოში და ჭრილობა შეუხვევიათ.

— როგორც უკანასკნელ ოფიციალური ცნობებიდგანა სჩანს, მთელის ქვეყნის ზურგზედ სულ 600,000 ინგლისურ მილის (თითო მილი სამ ნახევარი ვერსია) სიგრძეზე გაყვანილი ტელეგრაფი და იმის მართული ოც-და-ექვსჯერ შემოეხვევა დედამიწას გარშემო.

— ნიუ იორკში გარდაცვლილა ამ დღეებში გამოჩენილი ცირკის პატრონი ფორეპო, ერთად-ერთი მოცილე და მოქიშპე ბარნუმისა. ფორეპო და ბარნუმი ჯერ სასტიკად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და ბოლოს მორიგდნენ და პირობა დასდეს, რომ ფორეპოს ჩიკაგოს აღმოსავლეთით აღარ გადმოედგა ფეხი და ბარნუმს დასავლეთით. ფორეპო დაბადებულა 1831 წელს ფილადელფიაში და პირველად ყასაბი ყოფილა. შემდეგ ცხენების ყიდვით და გაყიდვით შეუგროვებია კარგა ბლომა ფული და შეუძენია დიდი ცირკი. 400 არტისტი ჰყოლია, სამასი ცხენი და ექვსასი ნადირი. სიკვდილამდე ფორეპოს თავისი შესანიშნავი ცირკი ერთის ინგლისურის საზოგადოებისათვის მიუყიდნია.

## დეპეშა

19 თებერვალი

პეტერბურგი. „Нов. Вр.“-ა ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროს მოუვიდა თხოვნა, ნება-რთვა მოგვეცით, წელს მოვუწოდოთ პეტერბურგში კრება საქარხნო-საფაბრიკო მრეწველთა წარმომადგენლებისაო.

გაზეთები ამბობენ, რომ გადაწყდა, განთავისუფლებულ იქნას საერო გარდასახადისაგან ყველა საეპარქიო სანთლის ქარხანა, რომლის შემოსავალიც დანიშნულია სასულიერო უწყების სკოლებისათვისაო.

საერო განათლების სამინისტროში ჩამოვარდნილია ლაპარაკი, რომ ყველა საოსტატო სემინარიაში შემოღებულ იქმნას მუშაობა (ручной трудъ).

ამ დღეებში საბოლოოდ გადაწყდება, გაკეთდეს თუ არა ნავთის გამყვანი მილი კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდე.

მოსკოვი. გუშინ, როცა დაიწყო მორიგი კრება გუბერნიის თავად-აზნაურობისა, გენერალ-გუბერნატორმა მოაგონა კრებას სიტყვა მეფისა, თქმული ვოლოსტნოი სტარშინების მიმართ სამღვთო დაგვირგვინების შემდეგ. იმ სიტყვაში იყო ნათქვამი, რომ სოფლის წარმომადგენლნი უნდა ემორჩილებოდნენ თავად-აზნაურთა წინამძღოლების რჩევასა და ხელ-მძღვანელობასაო. ეს დიდი აზრი, რომლითაც თავად-აზნაურობა მოწოდებულ იქმნა ახალის საზოგადო სამსახურისათვის, აწ, სახელმწიფო იმპერატორის შეურყეველისა და შეუცვლელის სურვილისამებრ, უკვე განხორციელდა 1889 წლის 12 იენისის კანონ დებულებით და აღსრულდა კიდეც წელს 1 თებერვალს. შემდეგ თავადმა მოიხსენა მეფური წყალობა, მოღებული თავად-აზნაურობაზედ სათავად-აზნაურო ბანკის დაარსებით, და მოიგონა სიტყვები საახალწლო გამოცხადებულის უმაღლესის რესკრიპტისა თავად-აზნაურთა მიმართ. იმ რესკრიპტში იყო აღნიშნული გზა, რომელსაც უნდა ადგნენ ყველა ერთგულნი ქვეშევრდომნიო. ეს ის გზაა, რომ დამყარდეს წესიერება საშინაო მართვა-გამგეობაში, მტკიცედ მოიკიდოს ფეხი კეთილდღეობამ კანონისა და დაწესებულ მთავრობის მფარველობათა და უკეთესად მოეწყოს საოჯახო და სამეურნეო ყოფა-ცხოვრება ყველა წოდებისა. ფიცის მიღების შემდეგ გაიმართა პირველი კრება, რომელზედაც წაიკითხეს და აღტაცებულის „ურას“ ძახილით მიიღეს პროექტი მოსკოვის თავად-აზნაურობის უქვეშევრდომილესის ადრესისა.

ასტრახანი. სასანიტარო საბჭო იმის განხილვაშია, რომ ღონისძიება იქმნას მიღებული, რათა ზღვით ხოლერა არ შემოვიდეს რუსეთში სპარსეთიდამ. არჩეულ იქმნა კომისია, რომელმაც უნდა შეადგინოს პროექტი ხოლერის საწინააღმდეგო ღონისძიებათა.

ლონდონი. ბოლგარიის გამგებლებმა მიჰმართეს თავიანთის აგენტის ვულკოვიჩის შუამავლობით პორტას და სთხოვეს, მიიღე ღონისძიებანი, რათა სახელმწიფოებმა შეიწყნარონ დღევანდელნი წესნი ბოლგარიისაო. ინგლისისა, იტალიისა და ავსტრი-ვენგრიის წარმომადგენელთ სოფიაში აცნობეს ყოველივე ესე. ვულკოვიჩმა სთხოვა ზემოხსენებულ სახელმწიფოთა წარმომადგენელთ კონსტანტინეპოლში, რომ თქვენც თქვენის მხრით მხარი მიეცით ამ თხოვნას ბოლგარიისასაო.

20 თებერვალი

პეტერბურგი. მეექვსე კავალერიის დივიზიის უფროსი კახანოვი დაინიშნა კავალერიის გენერალ—ინსპექტორის გამგებლობაში, კახანოვის ალაგზედ-კი დაინიშნა ვარშავის ოლქის შტაბის უფროსის თანაშემწე პარენსოვი.

ახლად აგებული ინგლისში კერძო ფლოტის კრეისერი «ორიოლ» გამოსცადეს ნიუ კესტლში, სადაც მან გაიარა საათში 18 უზლი, ე. ი. 30 ვერსზედ მეტი. გემი საუცხოვოდ აგებული აღმოჩნდა.

„Journal de St. Pétersbourg“-ი უარსჰყოფს უცხო ქვეყნის გაზეთებისგან გავრცელებულ ხმას, ვითომც რუმინიაში იყვნენ რუსის გენერალი და რამდენიმე აფიცერი, რომელთაც ბოლგარიის მართვა-გამგეობის მოთავეობა უნდა მიეღოთ, თუ პანიცის შეთქმულობა სისრულეში მოელოდა. აგრეთვე უარსჰყოფს უცხო ქვეყნის გაზეთებისაგან გავრცელებულ ხმას, ვითომც რუსეთის ელჩი ონუ ათინაში დაჰპირდა კრიტელებს, რომ რუსეთი დაგეხმარებათ, თუ ხელ-მეორედ აჯანყდებითო.

ბერლინი. სახელმწიფო საბჭოს კრების გათავებისას იმპერატორმა სთქვა: „სოციალისტებისა მე ვიცი; ეს ჩემი საქმეა და სახელმწიფო საბჭოს დახმარება არ მეჭირვებაო“.

პარიჟი. როდესაც ტირარს ჰკითხეს, რა მიზეზია რომ კონსტანი სამ-

სახურიდამ გაეიდაო, ტირარმა პალატას მისცა წინადადება გარკვევით გამოეთქვა თავისი აზრი, ენდობა თუ არა კაბინეტს. პალატამ გამოუცხადა, რომ ვენდობითო.

ბერლინი. დეპუტატების ხელ მეორედ არჩევანებმა დაამტკიცა, რომ მართებლობის დასი დიდად დამარცხდა; გაიმარჯვეს სოციალისტებმა, რომელთაც მოიპოვეს 36 ალაგზედ მეტი. უფრო დიდად გაიმარჯვეს თავისუფალ მოაზრეთა, რომელთაც, წინანდელ 32 ალაგის მაგიერ, ექნებათ რეიხსტაგში 70 ალაგი.

დორტმუნდი. როცა გამოაშკარავდა, არჩევნებზედ გაიმარჯვეს ნაციონალ-ლიბერალებმა სოციალ-დემოკრატების თაოსნობით აქ მოხდა დიდი უწესოება: პოლიციას დაუშინეს ქვა, ასე რომ იგი იძულებული შეიქმნა ეხმარა იარაღი. ხალხმა ჩალეწა ფანჯრები სახლებში და დაამტვრია ქუჩის ფარნები; კაცს ეგონებოდა, ქუჩებში შემოსულს მტერს გაუვლიაო. დაპატიმრებულია 30 კაცი; განკარგულება მოუხდენიათ, რომ, შეღამდება თუ არა, ხალხი აღარ შეუშვან დუქნებში.

პეტერბურგის ბირჟა, 16 თებერვ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — | „ | | „ | 7 | 31 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | | „ | 146½ | |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | „ | — | „ | 237½ | |
| —მეორისა . . . . . | 226¾ | | — | „ | — | „ |
| —მესამისა . . . | — | „ | — | „ | 217,37 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ 24 თებერვალს 1890 წ., დილის 12 საათზე, ტფილისში, ბანკის სადგომში, ვერეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება უძრავი მამული, რომელიც ეკუთვნოდა მატრონა ანდრიას ასულს კოვშოვისას და რომელიც იმყოფება ტფილისის 1 ნაწილსა და 1 განყოფილებაში, მოსკოვის ბალკაში. ეს მამული ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლია ფლიგელითურთ. მიწის ზომა 30 ოთხი-კუთხი საჟ. აქვს. მამულის საზღვრები: ჩრდილოეთით უძევს გაბაშვილის მამული, აღმოსავლეთით—ობრიევისა, სამხრეთით—სახლი გერასიმენკოსი და დასავლეთით — ანდრეევისა. ვაჭრობა 870 მან. და 31 კაპ. დაიწყება. მსურველს შეუძლიან მამულის შესახებ ყოველივე დაწვრილებული ცნობა შეიტყოს ამავე ბანკში ყოველ დღე.

გამოვიდა და ისყიდება
„უბის წიგნი 1890 წლისათვის“
შედგენილი და გამოცემული
ვალ. გუნიას მიერ
ფასი 40 კაპ.

# ბ ა ლ ა ნ ს ი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 1 იანვრისათვის 1890 წლისა.

## ა ქ ტ ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ნაღდი ფული კასაში . . . . . | 72,842 | 37 | | |
| გირაოს ფურცლებად . . . . . | 103 600 | — | | |
| კუპონების ახალ ფურცლებად . . . | 27,660 | — | | |
| გასაუქმებელ გირავნობის ფურცელ ძველ ტალონებად . . . . . . | 1.085,800 | — | 1.289,902 | 37 |
| 2) მიმომდინარე ანგარიშებზე: | | | | |
| ა) სახელმწიფო და კერძო ბანკებში . | 99,432 | 26 | | |
| ბ) კორრესპონდენტებთან . . . . | 89.239 | 13 | 188,671 | 39 |
| 3) მიბარებულობა: | | | | |
| ა) საწევრო ფული ტფილისის ურთიერთ შორის ნდობის საზოგადოებაში . . . . . . . . . . | — | — | 60 | 57 |
| 4) ბანკის სარგებლიანი ქაღალდები: | | | | |
| ა) სახელმწიფო და მთავრობის გარანტიის ქაღალდები, შენახულნი სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 143,900 . . . . | 133,543 | 24 | | |
| ბ) სხვა სარგებლიანი ქაღალდები 86,000 . . . . . . . . | 84,117 | 30 | | |
| გ) კორრესპონდენტებთან 64,900. . | 65,600 | 50 | | |
| % იმათი . . . . . . . . | 1,392 | 08 | 284,653 | 12 |
| 5) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 28 მაისის 1874 წ. წესდების ძალით: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 54½ წლით. | 389,300 | — | | |
| ბ) მამულის გირაოზე 43½ წლით. | 326,600 | — | | |
| გ) ქალაქის უძრავ ქონებაზე გირაოდ 27½ წლით . . . . . . | 341,200 | — | | |
| დ) ქალაქის უძრავს ქონებაზედ გირაოდ 18 წლითა და 7 თთვით. . . | 2,800 | — | 1.059,900 | — |
| 6) დიდ-ვადიანი სესხნი, რომელნიც გაცემულნი არიან ბანკის 17 თებერვლის 1881 წ. წესდების ძალით გირაოდ მიღებულს მამულზედ ურთიერთ შორის თავდებობის ქვეშ: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. . | 1.628,550 | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ მამულის გირავნობაზე 27½ წლით. . . . . | 4.909,050 | — | 6.537,600 | — |
| 7) სესხნი, რომელნიც გასაცემად არიან დანიშნულნი: | | | | |
| ა) მამულის გირაოზე 43½ წლით. | — | — | | |
| ბ) ქალაქის უძრავ ქონებაზე 27½ წ | — | — | | |
| 8) გადასახადი, რომელსაც ჰქონდა შეღავათი (§ 13 წესდებისა): | | | | |
| ა) დიდ-ვადიანს სესხზე . . . . . | 263,320 | 35 | | |
| ბ) მცირე-ვადიანს სესხზე. . . . . | 5,179 | 82 | 268,500 | 17 |
| 9) ვადა-გასული შემოსატანი ფული. . | — | — | 46,679 | 99 |
| 10) მცირე-ვადიანი სესხნი . . . . | — | — | 189,875 | — |
| 11) გირაოს ფურცლები საკომისიოდ მიღებულნი . . . . . . . . | — | | | |
| 12) დასაბრუნებელი ხარჯი . . . . | — | — | 148,150 | 71 |
| 13) ხარჯი: | — | — | 2,729 | 70 |
| ბალანსი | | | 10016723 | 02 |

## პ ა ს ს ი ვ ი

| | მან. | კაპ. | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 1) ძირის ფული: | | | | |
| ა) დიდ-ვადიანის სესხისათვის . . | 185,764 | 75 | | |
| ბ) მცირე-ვადიანის სესხისთვის . . | 153,926 | 42 | 339,691 | 17 |
| 2) სათადარიგო თანხა: | | | | |
| ა) სესხისა, რომელიც გაცემულია 28 მაისის 1874 წლის წესდების ძალით. . . . . . . . . | 26,186 | 32 | | |
| ბ) ურთიერთ შორის თავდებობით გაცემულ სესხისა . . . . . | 52,711 | 89 | 78,898 | 21 |
| 3) თანხა საზოგადო საქიროებისათვის. | 501 | 16 | | |
| 4) ზედამხედველის კომიტეტის ხელშია | 131 | — | 632 | 16 |
| 5) საყოველ-შემთხვევო თანხა . . . | — | — | — | — |
| 6) გირაოს ფურცლები დასახურდავებლად გაცემულნი 28 მაისის 1874 წლით წესდების ძალით: | | | | |
| 54½ წლით . . . . . . | 389,300 | — | | |
| 43½ › . . . . . . | 326,600 | — | | |
| 27½ › . . . . . . | 341,200 | — | | |
| 18 წ და 7 თთვით . . | 2,800 | | 1.059,900 | — |
| 7) გირაოს ფურცლები, რომელნიც გამოცემულნი არიან ურთიერთ შორის თავდებობით გირაოდ მიღებულ უძრავ ქონებათა: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | 1.609,800 | — | | |
| 27½ „ . . . . . | 4.890,300 | — | 6.500,100 | — |
| 8) გირაოს ფურცლები ტირაჟში გამოსულნი იმ ჯამისა, რა ჯამიც წესდების 89 § ძალით გადადებული იყო არა-ვალდებულის თავნის გადახდისათვის . . . . . . . | — | — | 37,500 | — |
| 9) გირაოს ფურცლები, გამოსაცემად დანიშნულნი: | | | | |
| 43½ წლით . . . . . | — | | | |
| 27½ › . . . . . | — | | | |
| 10) გირაოს ფურცლები მობარებულნი. | — | — | 3,700 | — |
| 11) ვადამდე მოსასპ. დანიშნულნი სესხნი: | | | | |
| ა) გირაოს ფურცლებით. . . . | 63,500 | — | | |
| ბ) ნაღდის ფულით . . . . . | 3 805 | 26 | 67,305 | 26 |
| 12) ტირაჟში გამოსული გირაოს ფურცლები, ჯერ წარმოუდგენელნი გადასახდელად . . . . . . . | — | — | 138,000 | — |
| 13) გირაოს ფურცლების გადასახადი კუპონები . . . . . . . . | — | — | 232,060 | 60 |
| 14) სარგებლის ფონდი . . . . . | — | — | 227,091 | 63 |
| 15) თავნის გასასტუმრებელი ფონდი: | | | | |
| 54½ წლით . . . . . . | 585 | 73 | | |
| 43½ › . . . . . . | 2,303 | 43 | | |
| 27½ › . . . . . . | 7,414 | 77 | | |
| 18 წ. და 7 თთვით . . . | 339 | 01 | 10,642 | 94 |
| 16) თავნის გასასტუმრებელი ფონდი ურთიერთ შორის თავდებობით: | | | | |
| 43½ წლით . . . . . . | 5,962 | 19 | | |
| 27½ › . . . . . . | 55,082 | 81 | 61,045 | — |
| 17) თავნის გასასტუმრებელი ფული არასაეალდებულო გადასახდელად იმ გირაოს ფურცლებისა, რომელნიც ურთიერთ შორის თავდებობის პირობით არიან გამოცემულნი. | — | — | 39 | 92 |
| 18) გარდამავალნი ჯამნი: | | | | |
| ა) ნაღდის ფულით . . . . | 35.203 | 60 | | |
| ბ) გირაოს ფურცლებით. . . . | 36,400 | — | | |
| გ) სახელმწიფო სარგებლიანის ქაღალდებით. . . . . . . . | 800 | | 72,403 | 60 |
| 19) კორრესპონდენტები . . . . . | — | — | — | — |
| 20) მსესხებელნი . . . . . . . | — | — | 2,287 | 15 |
| 21) 5% სახელმწიფო გადასახადი კუპონებზე . . . . . . . . | — | — | 422 | 70 |
| 22) კუპონის ახალი შესაცვლელი ფურცლები . . . . . . . . | 27,660 | — | | |
| 23) ძველი გასაუქმებელი ტალონები . | 1.085,800 | — | 1.113,460 | |
| 24) 3% გადასახადი წმინდა მოგებიდგან . . . . . . . . . | — | — | 821 | 52 |
| 25) ნაღდი მოგება იყო . . . . . | — | — | 70,721 | 16 |
| ბალანსი | | | 10016723 | 02 |

თავმჯდომარე ბანკის მმართველობისა თ. ი. გ. ჭავჭავაძე

მმართველობის წევრნი: თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილი
თ. ი. გ. მაჩაბელი

ბუხჰალტერი თ. დ. ა. ფაღავნიშვილი

Доз. ценз. Тиф лисъ 20-го Февраля, 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე